დიაგნოზის გადამოწმება საზღვარგარეთ და საერთაშორისო კონსილიუმი

ᲭᲘᲞᲘᲐᲘ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ MEDIGUIDE-ᲗᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲘᲗ.

ᲛᲘᲘᲦᲔ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲛᲝᲬᲛᲔ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ.

ონკო ქეარის **აქტიური პოლისის მფლობელებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ სერვისით დამატებითი ხარჯების გარეშე.**

როდესაც დაზღვეული გაურკვევლობაშია, საზღვარგარეთ დიაგნოზის გადამოწმებამ შეიძლება საქმე გაამარტივოს. საერთაშორისო კონსილიუმი MediGuide-თან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სამედიცინო დიაგნოზის გადამოწმებას საზღვარგარეთ.

MediGuide-თან ჩვენი პარტნიორობით, დაზღვეული იღებს წვდომას საერთაშორისოდ აღიარებულ უმაღლესი დონის სამედიცინო ცენტრებში.

MediGuide გამოირჩევა მაღალი ხარისხის მომსახურებით, რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულის სამედიცინო ინფორმაციის ყოვლისმომცველ მიმოხილვასა და ანალიზს. ეს სერვისი პაციენტს ეხმარება პასუხის გაცემაში ისეთ მნიშვნელოვან კითხვებზე, როგორებიცაა:

- რას ნიშნავს ჩემი დიაგნოზი?
- სწორად არის თუ არა დასმული დიაგნოზი?
- შეესაბამება თუ არა შემოთავაზებული მკურნალობა ჩემს მდგომარეობას?
- არსებობს თუ არა დამატებითი ინფორმაცია ჩემი დაავადების შესახებ?
- არის თუ არა ალტერნატიული მკურნალობის მეთოდები, რომლებიც ჩემთვის უკეთესი იქნება?

რა შემთხვევაში შეუძლია დაზღვეულს მიიღოს საერთაშორისო კონსილიუმის (MSO) მომსახურება?

(არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვები, არ არის ლოდინის პერიოდი ან სხვა წინასწარი მოთხოვნები.)

საერთაშორისო კონსილიუმის მომსახურება ხელმისაწვდომია ყველასთვის, რამდენიმე გამონაკლისისა, თუ:

- დაზღვეულს არ მიუღია ოფიციალური დიაგნოზი მკურნალი ექიმისგან. ჩვენ გვჭირდება დიაგნოზი, რათა სამედიცინო ექსპერტებმა განიხილონ შემთხვევა, დაადასტურონ დიაგნოზი და გასცენ მკურნალობის რეკომენდაციები.
- თუ დაზღვეული არ შეუფასებია მკურნალ ექიმს ბოლო 12 თვის განმავლობაში.
- დაზღვეულს განვითარებული აქვს უეცარი, მწვავე, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა.
- დაზღვეულს სჭირდება ფიზიკური გამოკვლევა, რადგან ზოგიერთი დაავადება საჭიროებს დეტალურ შეფასებას.

როგორ მუშაობს?

ეს სერვისი ხელმისაწვდომია აქტიური პოლისის მქონე პირებისათვის, დამატებითი ხარჯის გარეშე. მოსახურების მისაღებად დაზღვეული, სამუშაო საათებში უკავშირდება სერვისის მომწოდებელი საერთაშორისო ორგანიზაცია "მედიგაიდის" წარმომადგენელს საქართველოში - კლინიკა კურაციოს,

სპეციალურ ნომერზე: 032 2 431010

- **პირადი მენეჯერის დანიშვნა და ინფორმაციის შეგროვება**
  კლინიკა კურაციო დაზღვეულს პირად მენეჯერს დაუნიშნავს, რომელიც შეაგროვებს სამედიცინო ინფორმაციას. მომსახურებასთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაცია დაზღვეულმა კლინიკას უნდა მიაწოდოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

- **საქმის განხილვა**
  საჭირო სამედიცინო ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, კურაციოს ექიმი მედიგაიდის დახმარებით უზრუნველყოფს მსოფლიო წამყვანი სამი კლინიკის მოძიებას, საიდანაც დაზღვეული თავად ირჩევს მომსახურების გამწევ სასურველ კლინიკას.

- **დასკვნის მიწოდება და შემდგომი მომსახურება**
  მას შემდეგ, რაც სამედიცინო მიმოხილვა დასრულდება, დაზღვეული მიიღებს საერთაშორისი კონსილიუმის დასკვნას. ეს დასკვნა შეიძლება მოიცავდეს მკურნალობის რეკომენდაციებს, ალტერნატიული მეთოდებს და თქვენს შეკითხვებზე პასუხებს.(კლინიკა კურაციო უზრუნველყოფს დაზღვეულისთვის მეორე აზრის მოძიების პირობებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებას შემთხვევის გაცხადებიდან 15 დღის განმავლობაში.)

- **მკურნალობა საზღვარგარეთ**
  თუ ანგარიშის მიღების შემდეგ დაზღვეული გადაწყვეტს მკურნალობას საზღვარგარეთ, ჯიპიაის პარტნიორი MediGuide კოორდინაციას გაუწევს. ეს მოიცავს მიღებას საზღვარგარეთ, საქმეზე ზედამხედველობას, ხარჯების კონტროლს და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის განხილვას თქვენს ქვეყანაში.

გაზიარდება თუ არა პირადი ინფორმაცია?

არა. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მიიღებთ, კონფიდენციალურია. თქვენი დიაგნოზისა და მეორე აზრის შესახებ ინფორმაცია არ გაზიარდება.

MediGuide
Closest to the cure